საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ინფლაციის თვის მიმოხილვა

2024

სარჩევი

ინფლაცია 3
საბანკო სექტორი 5
საგარეო სექტორი 7
სავალუტო ბაზარი 11
ფულადი ბაზარი 14
მონეტარული აგრეგატები 15

"თვის მიმოხილვა"
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

ინფლაცია

ინფლაცია კვლავ მიზნობრივი მაჩვენებლის ქვემოთ ნარჩუნდება და ივნისში 2.2% შეადგინა. მაისთან შედარებით ფასებმა 0.5%-ით დაიკლო.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 1.4% შეადგინა.

თვის ინფლაცია -0.5% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლიური ინფლაცია 2.2% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივნისში მაისთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები სურსათის სეზონურ გაიაფებას უკავშირდება. აქედან გამოსარჩევი კარტოფილის 24%-იანი გაიაფება იყო, რამაც თვის ინფლაცია 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) შეამცირა.

წლიურ ჭრილში ინფლაციას ყველაზე მეტად ბენზინის გაძვირება ზრდიდა. გასულის წლის ივნისთან შედარებით ბენზინის ფასები საშუალოდ 25.2%-ით იყო გაზრდილი, ხოლო წვლილი ინფლაციაში 0.9 პპ-ს შეადგენდა. ინფლაციის შემცირებას ყველაზე მეტად ელექტროენერგიის ტარიფის გაიაფება განაპირობებდა. კერძოდ, ელექტროენერგიის ტარიფი წლიურად 13.2%-ით შემცირდა, რამაც ინფლაცია 0.3 პპ-ით შეამცირა. სურსათის ფასები გასული წლის ივნისის ფასებს 1.7%-ით აღემატებოდა. აქედან გამოსარჩევი ვაშლი, მწვანილი და ძროხის ხორცი იყო, რაც ინფლაციას ჯამში 0.5 პპ-ით ზრდიდა, ხოლო ხახვი და მზესუმზირის ზეთი 0.3 პპ-ით ამცირებდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივი ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან, 3%-თან ახლოს ნორმალიზდა. ივნისში ადგილობრივი ინფლაცია 2.8%-ს გაუტოლდა და მასში მთავარი წვლილი მომსახურების ფასების ცვლილებამ (1.9 პპ) შეიტანა. შერეულად წარმოებული პროდუქტები ჯამში 0.2%-ით ძვირი იყო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შერეულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ზეთის, ანტიბიოტიკებისა და ელექტროენერგიის ტარიფის წლიური გაიაფება მოქმედებს. იმპორტირებული პროდუქტების ინფლაცია 3.3%-ს შეადგენდა, სადაც უდიდესი წვლილი საწვავის გაძვირებას ჰქონდა.

მომსახურების ინფლაცია კლებად ტენდენციას განაგრძობს და ივნისში 4.2%-მდე შემცირდა. მომსახურების ინფლაციის თანდათან შემცირება საბაზო ეფექტს უკავშირდება.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	ივნ24/მაი24		ივნ24/ივნ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.5%	-0.5%	2.2%	2.2%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	-2.0%	-0.7%	1.9%	0.6%
სურსათი	30.4%	-2.2%	-0.7%	1.7%	0.5%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-0.6%	0.0%	-3.0%	-0.2%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-0.6%	0.0%	1.0%	0.1%
თევზეული	0.4%	1.0%	0.0%	-1.9%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	0.5%	0.0%	0.0%	0.0%
ზეთი და ცხიმი	2.5%	2.3%	0.1%	-8.5%	-0.2%
ხილი, ყურძენი	1.6%	-6.0%	-0.1%	30.1%	0.5%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	-14.7%	-0.6%	10.2%	0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	-0.1%	0.0%	2.5%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-0.3%	0.0%	1.6%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.1%	0.0%	3.5%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.9%	0.1%	3.4%	0.2%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	0.2%	0.0%	-3.8%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	-0.1%	0.0%	-2.2%	-0.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	-0.2%	0.0%	-3.3%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.1%	0.0%	-0.2%	0.0%
ტრანსპორტი	12.0%	0.3%	0.0%	11.0%	1.2%
კავშირგაბმულობა	3.7%	0.1%	0.0%	-1.5%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	-0.2%	0.0%	-0.7%	0.0%
განათლება	4.6%	0.3%	0.0%	3.8%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	1.3%	0.0%	7.5%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	-0.5%	0.0%	2.8%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.1%	-1.0%	-0.7%	2.1%	1.3%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	0.0%	0.0%	-3.6%	-0.3%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.0%	0.0%	-0.3%	0.0%
მომსახურება	24.8%	0.5%	0.1%	4.2%	1.0%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი

მაისში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 5.8 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 459.3 მლნ ლარით გაიზარდა) და 51.4 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 128.8%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 527.2 მლნ ლარით (2.0%-ით) შემცირდა და 26.4 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული კლება, მეტწილად სამთავრობო დეპოზიტების შემცირებამ განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 1,093.76 მლნ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 463.6 მლნ ლარით შემცირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 6.0% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 7.5%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 1.5%-მდე შემცირდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით შემცირდა და 10.5% შეადგინა. აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 1.9%-მდე შემცირდა. ასევე ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 1.1% შეადგინა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაციამ მაისში 49.8% შეადგინა. მაისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით 64.8%-მდე გაიზარდა, ხოლო იურიდიული პირების 0.3 პპ-ით, 37.9%-მდე შემცირდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, მაისში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით 61.5%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 19.0%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპის მატება როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდამ განაპირობა. კერძოდ, მაისში, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ზრდის ტემპი 21.1%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 11.7 პპ-იანი წვლილი შეადგინა. უცხოური ვალუტით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) წლიურად 16.4%-ით, 25.7 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.3 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუტით დაკრედიტების აჩქარება ბიზნესის სესხების ზრდას უკავშირდება. ბიზნესის სესხების წვლილი დაკრედიტების ზრდაში 11.5 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.1 პპ-ზე შეადგინა.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის ტემპი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 13.0% შეადგინა. **ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 14.7%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 8.9%-მდე გაიზარდა.**

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაკადი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 11.8%-მდე შემცირდა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 11.6%-მდე გაიზარდა. მაისში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო იმავე დონეზე 9.1%-ზე შენარჩუნდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.1 პპ-ით, 7.1%-მდე გაიზარდა.

მაისში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 45.6%-მდე შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით 65.3%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით, 28.2%-მდე შემცირდა. მაისში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 12.4 მლნ ლარით შემცირდა და 511.3 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 43.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი

მაისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 2.9%-ით შემცირდა და 766.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის კლება იმპორტის შემცირებას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 4.0%-ით, 1,277.5 მლნ აშშ დოლარამდე დაიკლო, ხოლო ექსპორტი წლიურად 5.6%-ით შემცირდა და 510.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (მაისი 2024)



წყარო: საქსტატი

იმპორტი - მაისში საქონლის იმპორტი წლიურად 4.0%-ით შემცირდა. საქონლის იმპორტის კლება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის შემცირებამ განაპირობა. საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტმა კვლავ მოიმატა, ხოლო შუალედური სახის იმპორტი ზომიერად გაიზარდა. სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის კლებაში ყველაზე მეტი წვლილი რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების, ასევე სამკურნალო საშუალებებისა და სატელეფონო აპარატების შესყიდვების მნიშვნელოვანმა კლებამ შეიტანა, თუმცა ამავე ჯგუფში გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე შერეული საქონლის ჯგუფების იმპორტი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილებისა და სატელეფონო აპარატების - იმპორტის წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე ელექტრული ტრანსფორმატორებისა და რადიოსატელეფონო აპარატურის შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში რეექსპორტისთვის განკუთვნილი სატვირთო ავტომობილების, ასევე სხვა საფრენი აპარატებისა და ატრაქციონებისთვის საჭირო საქონლის იმპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მატება უმეტესად ფეროშენადნობების, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინისა და შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციების მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა. გარდა ამისა, მანგანუმის მადნებისა და ნახევარკოქსის იმპორტმა წლიურად მოიმატა. მეორე მხრივ, რეექსპორტისთვის განკუთვნილი ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აგრეთვე მინის ბოცებისა და ბოთლების იმპორტმა მოიმატა. მთლიანობაში, მაისში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 11.2%-ით დაიკლო.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მაღალი წვლილი შეიტანა აშშ-მ, რაც რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების მკვეთრ შემცირებას უკავშირდება. თუმცა, ამ ქვეყნიდან ახალი და გამხმარი კაკლის იმპორტმა წლიურად მნიშვნელოვნად მოიმატა. რუსეთიდან იმპორტის კლება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ქვანახშირისა და ნავთობის კოქსისა და ბიტუმის შესყიდვების შემცირებამ განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების, სომხეთიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე სიგარეტები-სიგარილების, გერმანიიდან მსუბუქი ავტომობილებისა და ტრაქტორების, რუმინეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შვეიცარიიდან სამკურნალო საშუალებების, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საცელეფონო აპარატების, ბრაზილიიდან შაქრისა და ღორის ხორცისა და კვების სხვა სუბპროდუქტების, პოლონეთიდან ტრაქტორებისა და საცვირთო ავტომობილების, ხოლო ჩეხეთიდან საცელეფონო აპარატების მნიშვნელოვანი კლება. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა ჩინეთი - მსუბუქი ავტომობილებისა და ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინის, ჰონკონგი - გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ბულგარეთი, ბელარუსი, საბერძნეთი და უზბეკეთი - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ლიეტუვა - სიგარები და სიგარეტების, გაერთიანებული სამეფო - შერეული საქონლის, ხოლო ეგვიპტე საცელეფონო აპარატებისა და სამკურნალო საშუალებების გაზრდილი შესყიდვების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 60% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

მაისში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი **მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და სამკურნალო საშუალებებს (24%-იანი წილი მთლიან იმპორტში)** ეჭირა. აღსანიშნავია, რომ მაისში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის მაისთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (მაისი 2024, მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (მაისი 2024)



წყარო: საქსტატი

ექსპორტი - მაისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 5.6%-ით შემცირდა. საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, შემცირდა ასევე შუალედური სახის საქონლის ექსპორტი, თუმცა საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტი გაზრდილია. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი უარყოფითი წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის შემცირებამ შეიტანა. დაიკლო ასევე სამკურნალო საშუალებებისა და სამრეწველო დამზადების თამბაქოს ექსპორტმა. გარდა ამისა, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და მინერალური და გაზიანი წყლების ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება. მეორე მხრივ, ამ ჯგუფში მოიმატა სპირტიანი სასმელებისა და ტანსაცმლის ჯგუფების ექსპორტმა. შუალედური სახის საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი უარყოფითი წვლილი (28.0 პპ) სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტის შენელებამ შეიტანა. მაისში, წინა წლის ბოლო თვეებისგან განსხვავებით, ფეროშენადნობების ექსპორტი მაღალი იყო, თან ასევე წლიურად მისი მოცულობა გაიზარდა. ამასთანავე, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტმა კვლავ მოიმატა. საინვესტიციო საქონლიდან სხვა საფრენი აპარატებისა და ცენტრალური გათბობის ქვაბების ექსპორტმა მნიშვნელოვნად მოიმატა, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ტრაქტორების ექსპორტმა დაიკლო. მაისში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 11.5%-ით შემცირდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების კლებაში მაღალი წვლილი შეიტანა სომხეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტის შემცირებამ, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად შემცირებულმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, რუსეთში სპირტიანი სასმელებისა და ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი შემცირდა, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქვეყანაში მინერალური და გაზიანი წყლებისა და დაკონსერვებული მცენარეების ექსპორტი მომატებულია. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ესპანეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პანამაში, ტანზანიასა და რუმინეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ერაყში მსხვილფეხა ცოცხალი რქოსანი პირუტყვის, ხოლო სინგაპურში კი სპირტიანი სასმელების გაყიდვების კლება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა. კერძოდ, თურქეთში ფეროშენადნობებისა და სხვადასხვა ტანსაცმლის, ნიდერლანდებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, კონგოში სხვა საფრენი აპარატების, ხოლო ალჟირში ფეროშენადნობების ექსპორტი გაიზარდა. ამასთანავე დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ინდოეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ხოლო ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის მცირეოდენი ზრდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 74% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

მაისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (32%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო ძვირფასი ლითონების მადნების, სპირტიანი სასმელებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის კლებაში ყველაზე დიდი წვლილი (-8.9 პპ მთლიან ცვლილებაში) სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფმა შეიტანა. მაისში სპილენძის მადნები და კონცენტრატები მცირე რაოდენობით გაიყიდა, თუმცა წლიურად ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირებული იყო. წლის დასაწყისიდან დაწყებული, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შემცირება განაგრძო და მაისში წლიურად 18%-ით შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (მაისი 2024, მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (მაისი 2024)



წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - მაისში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 27.1%-ით დაიკლო და 284.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 3.5%-ით, 30.1 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს. მაისში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 69%-ით, 48 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მაღალი ტემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (22.1%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორიცაა ისრაელი და აზერბაიჯანი, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (20.3%-იანი და 7.7% -იანი მატება, შესაბამისად). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** მაისში, რეგიონის ქვეყნებიდან, თურქეთიდან და ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 41.8%-ით და 43.4%-ით. აღსანიშნავია, უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება. **მაისში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (42.5%), რუსეთი (16.9%) და აშშ (16.6%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში
(მაისი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა
(წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6775-დან 2.7164-მდე (1.45%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.8724-დან 2.9340-მდე (2.14%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ შესაბამისად, 2.7968 და 3.0259 შეადგინა. მაისში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7968 იყო, მინიმალური კი - 2.6755.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები არათანაბრად იყო გადახრილი.

მაისში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია რუბლის, დრამისა და ევროს გამყარება, მცირედით გამყარდა თურქული ლირაც; ლარი გაუფასურდა, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (მაისი 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 5.3%-ით გაუფასურდა, თვის ჭრილში გაუფასურებამ კი 2.3% შეადგინა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიური გამყარება 5.8%-ია, თვის ჭრილში გაუფასურება კი 2.0%-ია.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციაზე ზრდის წნეხს ქმნის.

სავაჭრო პარტნიორთაგან მაისში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, აშშ-სა და ევროზონაში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში - დაბალი.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენციაა, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (მაისი 2024)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები

მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 5[1] არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მცირედით შემცირებულია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა წინა თვესთან შედარებით გაიზარდა, 2023 წლის მაისთან შედარებით კი შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 252.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 27.8 მლნ აშშ დოლარით მეტია, წინა წლის მაისთან შედარებით კი - 77.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 17.4%-ით, წლიურად კი 23.4%-ით შემცირდა.

მაისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ[2] გარიგებებით ხდებოდა (99.2%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,172.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 173.9 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, თვის ჭრილში შემცირება კი 41.3 მლნ აშშ დოლარია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.7% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვამ 9.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აუქციონით კი 108.7 მლნ აშშ დოლარი გაიყიდა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია როგორც წლიურ, ისე თვის ჭრილში. საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაისში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 69.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ ჭრილში შემცირება 60.2 მლნ აშშ დოლარია) და 1,600.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 104.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში ზრდა 18.9 მლნ აშშ დოლარია) და 1,572.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სპოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

მაისში სავალუტო ფორვარდ[3] გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 11.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ ჭრილში შემცირება 17.1 მლნ აშშ დოლარია) და 25.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი შენამეურნეობებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 0.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი სპოტ გარიგებებით შეძენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



*გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 214.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მთავრობის მიერ სავალუტო ხარჯების (სესხების მომსახურება) გაწევასთან ერთად, რეზერვების შემცირებას სებ-ის მიერ განხორციელებული სავალუტო ინტერვენციებიც განაპირობებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

მაისში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიცა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და მაისის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.

მაისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 270.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. მაისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შესაბამისად, 20, 20, 40, 85 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 193.0 მლნ ლარით გაიზარდა და 8,675.4 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 63.6%-ს კომერციული ბანკების, 22.8%-ს ეროვნული ბანკის, 10.5%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.0%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები კი გაიზარდა. კერძოდ, მაისში წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.05 პპ-ით, 7.85%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.24 და 0.20 პპ-ით გაიზარდა, შესაბამისად 8.05% და 8.06%-ს შეადგენდა. სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კი გაიზარდა 0.10, 0.56 და 0.64 პპ-ით, და შესაბამისად 7.98%, 8.88% და 9.00% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 742.0 მლნ ლარით გაიზარდა, (წლიურად 7,714.8 მლნ ლარით) 17,635.2 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (82.2%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,074.8 მლნ ლარით (8.0%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 332.8 მლნ ლარით (9.6%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე როგორც ლარის, ასევე უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1-0.1 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 8.07% და 3.38% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ მაისში ფულადი ბაზრის რესურსის 41.0% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 58.0% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აგრეგატები

მაისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 237.7 მლნ ლარით (3.4%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.2 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 98.5 მლნ ლარით (1.4%-ით) გაიზარდა.

მაისში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 78.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 108.7 მლნ აშშ დოლარი. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა მაისის განმავლობაში 9.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები 195.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. მაისში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 361.5 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,247.9 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 202.7 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 1,435.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 25.0 მლნ ლარით შემცირდა. მაისში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, მაისში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,410.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,745.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

მაისში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 950.3 მლნ ლარით გაიზარდა, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 72.3 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge